

ამას წინათ ერთი უცხოეთში მოსწავლე ქართველი სტუდენტის გამონათქვამს მივაქციე ყურადღება: როკის და პოპის სცენიდან მოვდივარო; აკადემიურ მუსიკასთან დისტანციის განცდა მქონდა მედამ, სანამ მუსიკის ტექნოლოგიაზე არ „ჩავაბარე“ თბილისის კონსერვატორიაში, და მადლობელი ვარ მისი, რომ აკადემიური სამყაროს ნაწილი ვარო. „იქიდან“, დანიის ქალაქ ორჰუსის მუსიკის აკადემიიდან ამბობდა ამას ვიდეოგზავნილში და პირველად დავფიქრდი, თუ რა სხვაგვარ გარემოსა და პერსპექტივაში შეიძლება იმყოფებოდეს თავის ქვეყანაში აღზრდილი და „ჩარჩენილი“ დღევანდელი ქართველი მუსიკოსი (აქ და მომავალში კვოტირებული გამოთქმები მხოლოდ ციტატებია, ავტორის დამოკიდებულებას არ აღნიშნავს), ჯერ რომ ინტერნეტით ისე უცებ და იმდენი განათლება მიუღია, თან სრულიად განსხვავებული მის მშობელ-განმანათლებელთა სწავლებისგან, მერე კი ისე შეუძრწუნებია მის გარშემო გამეფებულ მეინსტრიმს, 40 წლის წინანდელი სიყალბით რომ უმღერის სიყვარულს და სამშობლოს, თან დიდად ვერც პოეტიკით და ვერც მუსიკალური ენით რომ ვერ გასცილებია იმავე დროს; ახალგაზრდა, რომელიც მზადაა, ყველანაირი ნგრევის, მსხვერვის, დესტრუქციის, ეჭვის, გროტესკული პაროდის, აგრესიული ფსიქედელიის (ამ თუნდაც ძველ) ესთეტიკურ საშუალებებს მიმართოს, ოღონდ თავი დააღწიოს „ჩვეულებრივობის“ ამ ჭაობს, რადგან ინტუიციით გრძნობს, რომ „არაჩვეულებრივობაში“ მდგომარეობს ხელოვნება.

ამ ტიპის ახალგაზრდა (ყველა ხომ ასე ვერ იქნება: ბევრისთვის სწავლა - ტრადიციული „როგორკეთების“ სწავლაა, როგორც ასწავლიან, ისე იზამს; ცოტა თუ ვინმე გაიაზრებს, რომ „სწავლის სწავლა“ მთავარი ცხოვრებაშიც და, ცხადია, ხელოვნებაშიც), ამ - მეორე ტიპის ხელოვანია სწორედ, წინ რომ მიდის და მიჰყავს თავისი საქმე, ხშირად ისე წინ, რომ თავისი დროის „ჩვეულებრივს“, ჯერ არ მოყირაჟებულს, შორს სცდება და ოდესღაც ამგვარ „წინმავალთათვისაც“ ისევე ძნელად მისაღები ხდება, როგორც ის აღრინდელი „ჩვეულებრივი“, თვითონ რომ გაეცხნენ ერთ დროს.

მოდით კიდევ ერთხელ გავიაზროთ როკის დამკვრელის „გეტოდან“ დანახული მიუწვდომლობა „აკადემიური“ მუსიკის, ამ უკანასკნელის მიერ კი „ზემოდან ცქერა“ ყველაფერზე, თუნდაც მისსავე წიაღში აღმოცენებულზე, რაც ამ აკადემიურობის ქურქში გახვეულ მუზეალურ რეტროგრადობას ეწინააღმდეგება და წარმოვიდგინოთ ამგვარი „ამ ტიპის ახალგაზრდა“, „როკ-პოპ სცენიდან მომავალი“, საქართველოში ამის გამააზრებელი თუ არა, მაინც ყოველმხრივ და ყოველ წუთს საკუთარ ტყავზე განმცდელი, უცებ რომ მოხვდება დასავლეთის რომელიმე მუსიკალურ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, სადაც ეს დიხოტომია უკვე დიდი ხნის დანახულია სხვადასხვა სიმწვავეთ და, თუ აღბერტ შვაიცერისთვის „ხელოვანის ორ ტიპს“ განასაჯიერებს (მაგ. ვაგნერისას

და ბახისას), ფერენც ლისტისთვის ერთადერთ მიზნად ჩამოყალიბებულია ("ჩემი ერთადერთი მიზანია, შუბი გავტყორცნო მომავლის უსაზღვრო სივრცეში!.." - მისი ერთი წერილიდან, 1874), პფიტცნერისა და ბერგის პოლემიკაში კი იმ მარადიულ, დღესაც აქტუალურ კონტურებს იძენს! როგორ შვებით ამოისუნთქავს და სიხარულით დაინახავს, რომ თურმე კონფლიქტური ეს სხვადასხვაობა კი არა, მასთან ცალმხრივი, პოლიტიკურად თუ ინსტიტუციურად მიკერძოებული დამოკიდებულებაა, თავის ძირშივე მცდარი, და რომ სიმართლე იმ ანმყოშია, წარსულსაც რომ ემყარება და მომავალშიც რომ ჰკვალავს ბილიკებს! გაუხარდება, რადგან დღევანდელი საგანმანათლებლო სიტუაცია დასავლეთის მუსიკის სასწავლო დაწესებულებათა გადამწყვეტ უმრავლესობაში სწორედ ამ დიხოტომიით და მათ შუა მდგომი რეალობით ხელმძღვანელობს.

და მაინც, „როგორ მეჩვენება საქართველო (ზოგად) მუსიკალურ კონტექსტში, დღევანდელში იქნება თუ ისტორიულში?“ -

ამგვარად „გავიგე“ შეკითხვა, რომლითაც SOU ფესტივალმა მომმართა სტატიისთვის და ორიგინალში დაახლოებით ასე უღერდა - „რას დაინახავდი ქართული მუსიკის highlight-ებადო“.

ქართული (ტრადიციული) მუსიკა, თავისი ყველა კომპონენტით (მელოდიკა, ჰარმონიკა, ბგერწყობა, ჟანრული სპექტრი, მრავალხმიანობა, ბურღონი, კრიმანჭული, გეპირი ტრადიცია, და ა.შ.) ალბათ თვითონაა highlight-ი, როგორც მუსიკალური ფენომენი, რომელზეც უამრავი აღტაცება, განცვიფრება, გაოგნება დაწერილა და გამოთქმულა, რომელიც ხალხური მრავალხმიანობის მწვერვალად გვევლინება და რომლის მექანიზმების წვდომა დღემდე გრძელდება, შინაც და დანარჩენ მსოფლიოშიც; ორ წელიწადში ერთხელ კი სწორედ ამის გამო გადაიქცევა ხოლმე საქართველო მსოფლიო ეთნომუსიკოლოგიის გრავიტაციულ ცენტრად ხალხური მრავალხმიანობის საერთაშორისო სიმპოზიუმზე.

მუსიკის ისტორიაში რამდენიმე რევოლუცია მომხდარა, highlight-ობის ღირსი; მათგან ორს უდაოდ ქართული მუსიკის highlight-ებადაც ვაღიარებდი. პირველია ნოტაცია - მუსიკის ფიქსირებისთვის შემუშავებული დამწერლობა და ამით კომპოზიციის და ინტერპრეტაციის პოტენციური გაყოფა ერთმანეთისგან. ამ მოვლენის მნიშვნელობის გასააზრებლად ქართული მუსიკალური კულტურისთვის მართლ მიქაელ მოდრეკილის ნევმირებული ხელნაწერების ხსენებაც კმარა, რომელთა დეშიფრირების საქმეც დაძრული ჩანს, ბოლო წლების მონაცემებით (ქვემოთ კიდევ შევხები).

მეორე რევოლუცია უდაოდ თომას ალვა ედისონის ტექნოლოგიური მიღწევა გახდა - ხმოვანი მოვლენის ჩანერის და მისი მედიუმზე ფიქსირების, „აკუსტიკური ფოტოგრაფიის“

მანამდე არარსებული შესაძლებლობა, რომელიც მრავალი მუსიკალური კულტურისთვის აღმოჩნდა შენახვის და გადარჩენის საშუალება, მასზე ავთენტური და ობიექტური წარმოდგენის საქონად. ქართული ტრადიციული მუსიკა, ზეპირ გადაცემაზე დამყარებული, სწორედ ამ ტიპის მუსიკალური კულტურა იყო და ფილომონ ქორიძის, ექვთიმე კერესელიძის და სხვა სულმნათ ქართველთა სოფელ-სოფელ სიარული ედისონის გამოგონილი ფონოგრაფით და დაკარგვის პირას მისული ქართული გალობის გადარჩენა სწორედ ამ ტექნოლოგიური საოცრების მაღლით მოხდა: მხოლოდ ნოტებზე ჩანერა საკმაოდ დეფორმირებულ სურათს მოგვცემდა, დღევანდელი ევროპული კონვენციური სანოტო სისტემის უკმარისობის გამო ქართული ბგერათსიმალღებრივი წყობის სრულად გადმოსაცემად. ამიტომ - ესეც highlight-ი მგონია ქართული მუსიკისთვის, ერთ-ერთი უდიდესი!

მა-19 საუკუნის highlight-ებიც სახსენებელია: ოკუპანტს და დამპყრობელსაც შეეშლება ხოლმე და მასთან ურთიერთობას, რაც უნდა დამანგრეველი იყოს პოლიტიკურად, ხშირად კულტურული ჰაილაიტებიც გამოსტყვერება ხოლმე ხანდახან; მე-15 საუკუნის სპარსული პოეზიის და დერვიშთა მუსიკის ქართულ პოეზიასა და ქალაქურ ფოლკლორზე გავლენისა არ იყოს, მეფისნაცვალ ვორონცოვის სახელთან დაკავშირებული თბილისის ოპერაც და თეატრებიც, მის დროს დაარსებული (მისი წასვლის შემდეგ კი, სხვათა შორის, ისევ კარგა ხნით გაჩერებული), ამის მაგალითადაც გამოდგება და იმ სპეციფიური კომპლიმენტის საფუძვლადაც, SOU-ფესტივალს რომ ვუძღვნი ქვემოთ.

კონსერვატორიის 100 წლისთავზე მისი დაარსების (უფრო სწორად 30 წლით ადრე დაარსებული მუსიკალური სასწავლებლის კონსერვატორიად გარდაქმნის) ამბავი ხომ უნდა ვახსენოთ და დიდი სიამაყითაც: პირველი უმაღლესი სასწავლებელია კავკასიაში, თსუ-ზე 1 წლით უფროსი... :)

დიქტატურა, განსაკუთრებით დამპყრობლური, კი მტერია, მაგრამ ხანდახან ის განსაცდელიც, რუსიფიკაციის, თავისუფალი აზროვნების დათრგუნვის და ინტელექტუალური თუ არტისტული რესურსების მასობრივი განადგურების, მთავარი კატალიზატორი გამხდარა პოლიტიკური და კულტურული რეზისტანსის, განსაკუთრებით მეორის.

აღბათ ამით თუ აიხსნება მიხეილ შუღლიაშვილისნაირი მოვლენა ქართულ მუსიკალურ ავანგარდში, რომლის შემოქმედებაც, კვლევაც და პედაგოგიკაც, პრაქტიკულად სრული ინფორმაციული ვაკუუმის პირობებში, მაგალითია არნოლდ შონბერგის გამონათქვამისა "Kunst kommt nicht von Können, sondern von Müssen" (1911) - „ხელოვნება არა

შემძლეობის, არამედ საჭიროების შედეგია“ (ქართულად უფრო ავტორისტული შესატყვისი გამიძნელდა იმის გადმოსაცემად, რომ კი არ „ძალმიძს და ვქმნი“, არამედ „უნდა შევქმნა და ვქმნი“).

ხშირად მომჩვენებია და სხვებისგანაც გამიგონია პოსტსაბჭოთა სივრცის ნაკლად და მისი დღემდე უმნიშვარი და ინფანტილური ასპექტების ახსნად ის გარემოება, რომ 60-იანი წლების ახალგაზრდული მოძრაობა (ჰიპებისა ამერიკაში, სტუდენტებისა ევროპაში) ამ ქვეყნებს არ განუცლიათ. აი ვუდსტოკის (1969) მოვლენის ქართულ მართლაც რომ highlight-ებად კი შემიგრძნია თბილისის 1978 წლის ჯაზფესტივალი და, დღევანდელი გადასახედიდან ასეთადვე მეჩვენება 1980 წლის როკ-ფესტივალი. ეს მაშინ ვიყავი ცოტა ჯაზურ-ფუნდამენტალისტური, თორემ ერთნაირად მნიშვნელოვანი მგონია დღეს ორივე. ერთია ოლონდ, ის ერთობა, ერთიანობა, იდეალებისა და მუსიკალური სხვადასხვაობისა, ის მუსიკალური პლურალიზმი, ვუდსტოკზე რომ სუფევდა, საქართველოში მაინც „ცოტა უფრო“ გვიან დადგა, როგორც ჩანს.

პირადად არ განმიცდია, რადგან გერმანიაში გავატარე ის 20 წელი, როცა საქართველომ რადიკალურად გაიფართოვა მუსიკალური სპექტრი, ჟანრობრივ-სტილისტურიც და ესთეტიკურიც. სატელევიზიო ტელევიზიით ვადევნები თვალს, როგორ გამოკრთებოდა ხოლმე რომელიმე ქართულ არხზე ქართველი „ელექტრონაუტების“ ნამუშევრები და საუბრები, ხანაც ევროპის რომელიმე ქალაქში გადავეყრებოდი ხოლმე, როცა ქართული კუტურის დღეებზე მოვხვდებოდი ერთად; მაშინ ცოტა კი მეუცხოებოდა, „ელექტრონულ მუსიკას“ რომ არქმევდნენ ამას: ჩემთვის Elektronische Musik, ისევე როგორც musique concrète, სულ სხვა „აკადემიური სიმალის“ და წონის მქონე სფერო იყო მაშინ და ამ „ახალი პოპულარული ელექტრონული“ მუსიკის, დღეს რომ „საკლებს ეძახიან“, იმ მუსიკის ბევრი ღირსეული მხარე, ხანდახან „უპირატესიც“, გვიან გავიაზრე: პირველ რიგში ის, რომ მუსიკალური „ბეკგრაუნდის“ არმქონე მუსიკოსი, მხოლოდ კომპიუტერის საშუალებით რომ იწყებს მუსიკასთან ურთიერთობას, „მუსიკის კეთებას“, თავისი მუსიკოსად ჩამოყალიბების პროცესში ისეთ მუსიკალურ კატეგორიებს და მიგნებებს შეიძლება ეზიაროს, რომელიც ისტორიულ მუსიკალურ განვითარებას, შესაბამისად „აკადემიურად“ აღზრდილ მუსიკოსსაც, რომელსაც „მუსიკის ისტორიის დიდი საპალნის ბურგით ტარება“ ხვდა წილად, შეიძლება გამორჩენოდა ან შეგნებულად აველო გვერდი.

და მაინც - ეს მრავალნი, ჯაზიც, როკიც, კლასიკაც, სონგმეიკერების მთელი ჯარიც, „აღიარებული“ და „აკადემიური“ მუსიკა თუ „ანდერგრაუნდი“, ყველა თავისთვის სულდგმულობდა, ზოგი ალთას იყო, ზოგი ბალთას, ხან ერთი გაიკვალავდა გზას „მოუბიზნბესამდე“ და გახდებოდა სნობური მედიის ხანმოკლე ინტერესის ობიექტი, ხან მეორე. თბილისური სიმღერების ორიოდე ძველი, გვირგვინოსანი ვარსკვლავი,

ძველებური ტრადიციით, კი შეაბიჯებდა ხოლმე სიმფონიური მუსიკის სცენაზე, რადგან ეს უკანასკნელი თვითონ იყო ხოლმე ხშირად გაბნეულ-განფენილი კინოს და ესტრადის უანრულ მიქსში...

დღეს მაინც უფრო ვართ ნამდვილი, სულ სხვა სიღრმის და ხარისხის ინტერაქციის მონაწილე, იმისი, რომ „აკადემიური“ სფერო ინტერესდება და ხანდახან ფრიად ძლიერ შთაგონებას და შემოქმედებით იმპულსებსაც პოულობს ამ ახალი, „უნარსულო“ და „უტრადიციო“ უანრების წიაღში. ქართული მუსიკისთვისაც და ჩემი მუსიკალური „აქტუალობისთვისაც“ უმნიშვნელოვანესად მიმაჩნია ციურისის მუსიკალურ წრეებში, ქართველი პიანისტის თამარ კორძაიას და შვეიცარიელი კომპოზიტორის ფელიქს პროფოსის გარშემო აღმოცენებული იდეა და მოძრაობა, რომელმაც 2005 წელს შვეიცარულ-ქართული ფესტივალის სახე მიიღო, სახელად close encounters. ყველა დროის, უანრის, სხვადასხვა ესთეტიკური მრწამსის და უსაზღვროდ მრავალფეროვანი შემოქმედებითი სპექტრის ქართულ, ევროპულ და ამერიკულ მუსიკას მოიცავს დღემდე ეს მოძრაობა და თავის წიაღში ერთნაირი აქტუალობით წარმოგვიჩენს სხვადასხვაობის მთელ ამ სპექტრს.

ამ ფონზე უკვე ლოგიკური და მოსალოდნელია ჯერ ილიას უნივერსიტეტში (2008) და მერე თბილისის კონსერვატორიაში (2011) დანერგილი, უკვე აკადემიურ სივრცეში აკრედიტებული სასწავლო პროგრამა მუსიკის ტექნოლოგიაში - კიდევ ერთი ნაბიჯი იქითკენ, რომ არც მუსიკალური ავანგარდი არ ჩაიხრჩოს „კატაკომბურ“ ანდერგრაუნდულ სიღუბეებში და არც „აკადემიური ისტებლიშმენტი“ არ დარჩეს „საკუთარ წვენში ხარშულ“, თავისივე ახლო თუ (არცთუ) შორეულ, „სამუზეუმო“ წარსულში, თორემ შოუბიზნესი, ერთნაირად წამლეკავი „აკადემიურისაც“ და „პოპულარულისაც“, მართლაც მოახდენს ყველაფრის უზურპაციას და ზოგად, „საშუალო“ (სინამდვილეში კი მდარე!), „ბაზარზე ორიენტირებულ“ (სინამდვილეში კი „ინტელექტუალურად და ესთეტიკურად ზარმაც“) მომხმარებელზე გათვლის. მთელი აპოკალიპტიკური ტრაგიზმი, ამას რომ მოჰყვება, მკითხველისთვის მიმინდვია ქვეყნის დასასრულზე ფიქრთა გასართველად... :)

მთავარი highlight ბოლოსთვის მოვიტოვე, ცოტა ხნის წინ განცდილი და დღევანდელი მუსიკალური პრობლემეტიკის ერთ-ერთი წამალი, როგორც მეჩვენება: SOU-ს სახელით უკვე ცნობილმა და აღიარებულმა ამ ფესტივალმა, ისედაც რომ შთამბეჭდავი მენეჯერული დამაჯერებლობით გამოსდის თანხების მოძიება ყოველად ფანტასტიკური კულტურული ძალისხმევითვის ამ ორი „სფეროს“ დასაახლოებლად, წარმოუდგენელ მიზიდველობას მიაღწია საზოგადოების ყველა ფენაში და რადიკალურად განსხვავებული მუსიკალური ინტერესების მსმენელი მოიცვა. გენიალურად მარტივი

რეცეპტი ორმხრივ სასარგებლო ინტეგრაციისთვის ერთ წინადადებად ასე შეიძლება აღინეროს: ანდერგრაუნდის გამოსვლა კატაკომბებიდან და აკადემიურ სივრცეში დამკვიდრება, ამ უკანასკნელის ერთგვარი სანირება და მუზეალური ჰიპნოზიდან გამოყვანა. ვულოცავ SOU-ფესტივალს მთავარ მიგნებას: მუსიკა ერთია - დღეს ხდება, ჩვენს თვალწინ, ჩვენს წიაღში.

რეზო კიკნაძე,

2017 წლის მაისი

SOU-ფესტივალისთვის